ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **114-1142216146**
თარიღი: **10/06/2022**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო
მისამართი: ქალაქი ბათუმი ლუკა ასათიანის 37

ადრესატი: თამილა ფუტკარაძე
პირადი ნომერი: 61010005808
მისამართი: შუახევი ს. დღვანი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ მარინე გვიანიძეს. თქვენი მიმდინარე წლის 3 მაისის N 09-02-12-ფ/209 წერილის პასუხად გაცნობებთ, მიუხედავად იმისა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, ქალთა ეკონომიკური და უფლებრივი გაძლიერების მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგ-სემინარები, ასევე 2015 წლიდან მოქმედებს ახალი სერვისი "ქალთა ოთახი" - რომლის მიზანია ქალთა ცნობიერების დონის ამაღლება, ქალებისათვის სასურველი, მათ საჭიროებებზე მორგებული ინფორმაციისა და სერვისების მიწოდება, რაც შემდგომში განაპირობებს მათ ეკომონიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ აქტიურობას, მაინც გამოწვევად რჩება ქალთა ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობის პროცესებში და მათი სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება.

ეკონომიკური შესაძლებლობებისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ მოსახლეობას ჩაუტარდათ ბიზნეს გეგმისა და ბიზნეს პროექტის წერის ტრენინგები, რამაც შემდგომში განაპირობა მოსახლეობის აქტიურობა. მცირე ბიზნესის განვითარებითა და თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით დაინტერესებულმა მოქალაქეებმა მიიღეს ბიზნეს კონსულტაცია, დაწერეს პროექტები და მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საგრანტო კონკურსში, თუმცა მასშტაბურიდან გამომდინარე ხშირად რჩებოდნენ დაფინანსების გარეშე. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გვყავს მეწარმე ქალები, რომლებსაც ჭირდებათ ხელშეწყობა და პროგრამა „ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერების და მხარდაჭერის" მიმართულებით დაეხმარება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალებს მოახდინონ თავიანთი იდეების რეალიზება.

გამომდინარე აქედან, გვესაჭიროება თქვენი შუამდგომლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან ფინანსების გამოყოფაში.

ლევან ზოიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

6200 ქალაქი ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზ. N141 ტელ: 0426 26 72 09
EMAIL: KOBULETIMUNICIPALITY@GMAIL.COM